№ 122

შაბათი, 12 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 122

შაბათი, 12 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 6 მან. 50 კაპ.

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

**საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები**

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილები-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—8)

**ექიმი ი. ია. გოკიელოვი**

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდე, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

ჯერმოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—4)

კვირას, 13 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

**საგანგებო**

**საზოგადო კრება**

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

**„შუამავლისა“**

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად ალნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (3—ნ.—2)

**ქართული წარმოდგენა.**

კვირას, 13 ივნისს, 1899 წ.

ნიკიტინის ცირკის შენობაში (გოლოვინის პროსპექტი) სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

**ქორ-ოღლი**

ტრაგ. 4 მოქმ. ანტონოვისა.

დასასრულ გაიმართება

**ლეკური**

დასაწყისი $8^1/_2$ საათ.

გამგე ა. ბაქრაძე. (2—უ.—1)

კვირას, 13 ივნისს, შუადღის 1 ლ საათზედ ზ. მთავარმართებლის სასახლეში მოხდება უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების წევრთა

**საზოგადო კრება.**

კრების საგანია: განყოფილების 1898 წლის მოქმედებისა და სხვა საქმეთა განხილვა. (2—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებმა უწყიან თავ. ნ. დ. ჭავჭავაძემ უფლება მიიღო გამოიკვლიოს კახეთის რკინის გზა; ახლა „ახ. მიმ.“—აუწყებენ, რომ დაწვრილებითი გამოკვლევა დაიწყება ამ წლის სექტემბერიდგან.

*** პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრა 8 ქართველმა: იურიდიულს ფაკულტეტზედ: ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, თავ. იოსებ ბარათაშვილმა, ვას. ქიქოძემ, ალ. კანდელაკმა, გიორგი კობეშავიძემ., ისტორიულ-ფილოლოგიურზედ—ბიქტორ კანდელაკმა, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ—ოქროს მენდლით და 1-ლ ხარისხის დიპლომით თავ. ივ. ჯავახიშვილმა.

*** წელს ტფილისის მესამე სავაჟო გიმნაზიაში სწავლის დამთავრების მოწმობა მიიღო 27 ყმაწვილმა; მათ შორის ოთხი ქართველია: ლევან ნათაძე (მიიღო ოქროს მედალი), ალ. ნათიშვილი, მიხ. ორჯონიკიძე და კონსტ. თულაშვილი.

*** ბაღეულობის გამოფენა ქ. სოხუმში გაიმართება 15 სექტემბრიდგან 15 ოქტომბრამდე. ხოლო ქ. ქუთაისში 5 სექტემბრიდგან 20 ოქტომბრამდე.

*** კვირას, 13 ივნისს, დილის 11 საათზედ გაიხსნება ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა (კანცელარია და წიგნთ-საცავი) სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ. მსურველთ შეუძლიანთ დაეწრონ.

*** რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, როგორც ისმის, შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გაიმართოს წელს ვაზის ავათმყოფობის წამლობის კონკურსი.

*** ქალაქის საბჭო ამ მოკლე ხანში მოისმენს ტფილისის გუბერნატორის წინადადებას იმის შესახებ, რომ საბჭომ ხელ-მეორედ განიხილოს ტფილისის ცხენის რკინის გზის საქმე.

*** როგორც ისმის, ამ მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა ცნობილი მწერალი პიერ ლოტი, რომელიც საფრანგეთის მთავრობას სპარსეთში გაუგზავნია შესანიშნავის მინდობილებით. პიერ ლოტი ტფილისში რამდენსამე დღეს დაჰყოფს.

*** ქალაქის გამგეობას განუმარტეს, რომ ქუჩები და მოედნები მიდებში წყლის სიცოტავის გამო, უნდა მოირწყას მტკვრის წყლით, მაგრამ ნემეცთა არხის წყლით კი არაო.

*** პარასკევს, 11 ივნისს, ქალაქის გამგეობამ მიიღო შეწირულებანი მცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხის სასარგებლოდ თავ. ნ. ვ. არღუთისკი დოლგორუკისაგან 50 მ. და გ. ი. მირზოევისაგან—100 მან.

*** 11 ივნისს ტფილისის ქალაქის მოურავს გ. გ. ევანგულოვს განუ-

## ფელეტონი

**უცხოთა შორის**

იუბილეები.—ბალზაკი.—იმის რომანების გმირები.—რა ადგილი დაუთმო ბალზაკმა ფულს ახალს რომანში.—როგორ მუშაობდა ბალზაკი.—ფულის მაძიებელი. — სარსე. — სარსე-სათეატრო ხელოვნების კრიტიკოსი.—რა გავლენა იქონია სარსემ საფრანგეთის თეატრზედ.

წლევანდელი წელიწადი ევროპისთვის „საიუბილეიო“ წელიწადია. ამ წელს მოიგონეს მრავალი შესანიშნავი კაცი და პატივი სცეს იმათ ხსოვნას. რუსეთმა მოიგონა თავისი დაუვიწყარი პოეტი პუშკინი, გერმანიამ—გეტე, იტალიამ—ვოლტი, ინგლისმა—კრომველი, ესპანიამ—ველასკეზი და ვან-დიკი, ხოლო საფრანგეთმა—რომანისტი ბალზაკი. წარსულ მაისს სწორედ ასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ეს უკანასკნელი დაიბადა. ფრანგები რამდენისამე წლით ადრე შეუდგნენ მზადებას ბალზაკის ხსოვნის პატივსაცემად: მათ მარტო სიტყვები და გვირგვინები არ იკმარეს, მოჰკრიბეს და დაჰბეჭდეს მრავალი ახალი ცნობა ამ შესანიშნავის კაცის და იმის რომანების შესახებ.

ბალზაკი მართლა რომ შესანიშნავი კაცი იყო: იგი მამათ-მთავარია აწინდელის რეალურ რომანისა. ბალზაკმა პირველად გაამეფა მწერლობაში ის, რაც დიდი ხანია ცხოვრებაში გამეფებულია, სახელდობრ ფული, ოქრო; პირველად მიუთითა საზოგადოებას ფულზედ და უთხრა: აი, შეხედეთ, ეს არის ის უდიდესი ძალა, რომელსაც ქვეყნიერობა მოძრაობაში მოჰყავსო. არასოდეს მწერლობაში ბალზაკამდე ოქროს იმდენი ადგილი არა ჰქონდა დათმობილი, რამდენიც ბალზაკმა, და იმის შემდეგ სხვებმაც, დაუთმო.

უწინდელ რომანების გმირები თითქოს რაღაც უსხეულო არსებებს წარმოადგენდნენ: ისინი არცა სჭამდნენ, არცა სვამდნენ, მხოლოდ სიყვარულზედ ჰფიქრობდნენ, სიყვარულისთვის ილვწოდნენ და იმისთვის თავსა სდებდნენ; ფულსა და საზოგადო საკუთრებას იმათთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ბალზაკმა-კი რომანი თითქოს საბანკირო კანტორაში გადაიტანაო, ისე აავსო რომანების ფურცლები ციფრებით და ანგარიშებით. კარგი ბუღალტერი არ იანგარიშებს ისე დაწვრილებით ბანკის შემოსავალ-გასავალს, როგორც ბალზაკი თავისს რომელისამე ძუნწის გმირის შემოსავალ-გასავალს ანგარიშობდა. ფული, ფული და ფული, აი რაზეა აშენებული ბალზაკის რომანები, რა აცოცხლებს იმისს გმირებს, რა შეადგენს იმათ ყოველ დღიურს საზრუნავს და საფიქრებელს. ერთის სიტყვით ბალზაკი ნამდვილი დამსურათებელია საფრანგეთის ბურჟუაზიისა, იმის ცხოვრებისა და ლტოლვილებისა.

მაგრამ ამასთან ერთად თვით ბალზაკიც შვილია თავისს დროისა. ავტორიც იმავე ცხოვრებითა სცხოვრობს, რითაც იმის რომანების გმირები; იგიც იმასვე ნატრობს, რასაც ეს უკანასკნელნი. მთელი ცხოვრება ბალზაკმა ფულის ძებნაში გაატარა. გამდიდრების სურვილით გატაცებული, ის ათას გვარ საშუალებას იგონებდა, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში მეტი ფული შეეძინა. ხშირად ამბობდა ხოლმე ბალზაკი: „ყველა კაცს რაიმე მისწრაფება, სურვილი აქვს, უფულოდ-კი არც ერთის სურვილის ასრულება არ შეიძლებაო“. მრავალ გეგმას ადგენდა გამდიდრებისას, მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, არც ერთი იმისი განზრახვა და გეგმა განხორციელებული არ იქმნა.

ტენი ბალზაკს „გაკოტრებულ საქმის კაცს“ ეძახდა და მართლაც რომანისტი მუდამ კოტრი იყო, ვალებისაგან ვერასოდეს ვერ განთავისუფლდა. რა საქმესაც ხელი მოჰკიდა, ამ საქმემ წინანდელ ვალებს ახალი ვალიც დააკეცა და ბოლოს ვალების გასტუმრება ისევ სალიტერატურო შრომით მოუხდა. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ შესანიშნავ რომანისტს მარკის ფული არა ჰქონდა წერილის გასაგზავნად.

შრომის-კი ბალზაკი ძალიან ბევრსა შრომობდა. წელიწადში 15 ტომზედ მეტსა სწერდა. რომანი „Le médecin de campagne“ 72 საათში დასწერა. როდესაც წერას შეუდგებოდა, კარებს მაგრად ჩაიკეტავდა ხოლმე, აღარც გარედ გამოდიოდა და აღარც წერილებსა და გაზეთებს კითხულობდა, სტოლზეც 4 სანთელს დაიდგამდა და სულ სწერდა და სწერდა. დღეში განუწყვეტლივ 18 საათს მუშაობდა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, როგორცა ვსთქვით, ვალებს მაინც თავი ვერ დააღწია და ფულით გული ვერ იჯერა.

***

ამ მხრივ ბალზაკზედ გაცილებით უფრო ბედნიერი იყო ამას წინად გარდაცვალებული საფრანგეთის მეორე მწერალი, სათეატრო კრიტიკოსი ფრანცისკ სარსე ანუ, როგორც ფრანგები ეძახდნენ, „ბიძია სარსე“.

სარსე 1828 წელს დაიბადა. უმაღლესს სწავლის გათავების შემდეგ, ათი წელიწადი პროვინციალურ უნივერსიტეტებში რიტორიკასა და ფილოსოფიას ასწავლიდა. რადგანაც მაშინდელი მთავრობა საშინლად სდევნიდა რესპუბლიკანურ იდეების გამო, სარსემ 1858 წელს სამსახურს თავი გაანება და საგაზეთო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. 1867 წელს გაზ. „Temps“-ის თანამშრომლად იქმნა მიწვეული და მას აქეთ ამ გაზეთს აღარ მოჰშორებია.

სარსეს მხოლოდ თეატრის მატიანე და მიმოხილვა ჰქონდა მინდობილი. ყოველ კვირა გაზეთში იმის ფელეტონები იბეჭდებოდა ხოლმე თეატრის შესახებ. წლის 32 განმავლობაში მხოლოდ ერთ კვირას არ დაუწერია ფელეტონი. „Temps“-ის გარდა სარსე თანამშრომლობდა „ფიგაროსა“ და 12—15 პროვინციალურ გაზეთში.

ერთ დროს სარსე გაზ. „XIX Siecle“-ს მთავარი თანამშრომელი იყო. ამ გაზეთში სარსემ სასტიკი

ცხადეს ხმოსნებმა ნ. ა. ხუდადოვმა, ა. ა. იოანნესიანმა, ლ. ი. მღებროვმა და პახომოვმა, რომ თავს ვანებებთ ხმოსნობასაო.

*** გზათა მინისტრის კანცელარიის დირექტორი ა. ს. ერმოლოვი გაემგზავრა ტფილისიდგან ბათუმს.

*** სიღნაღის მაზრაში პურისა და ყურძნის მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანს; ხოლო ტფილისის მაზრაში პურის მოსავალი ზოგან საშუალოდ ჩაითვლება, ზოგან-კი უვარგისადაც.

*** ქ. დუშეთს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ იმაზედ დარჩენილ პოლიციის შესანახ ხარჯის აკრეფა შემდეგ დროისთვის იქმნას გადადებული.

*** ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი ქალაქის ქუჩებიდგან სახლის პატრონთა ხარჯზედ ტალახ ნაგავის გასაზიდ ეტლების მოწყობის შესახებ.

*** ტფილისის ვაჭართა მამასახლისმა წარუდგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს ვაჭართა კრების განაჩენი შოთაველ საკომერციო სკოლის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარისა და 5 წევრის არჩევის შესახებ.

*** ქალაქის ინჟენერმა ბ-მა მუხარინსკიმ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, მოაწყოს სურფ-კარაპეტის აღმართზედ, თოფხანასთან მყოფ წყაროებს და გამოიყვან იქიდგან წყლის მილებს ქუჩების მოსარწყავადაო.

*** სამშაბათს და ოთხშაბათს ტფილისში ხილად იშოვებოდა წყალი, ხოლო ხუთშაბათს-კი სრულიად უწყლოდ დარჩნენ მცხოვრებნი. ნეტა როდის მოეღება ბოლო ასეთ შემთხვევებს!

*** ს. ხოვლე. 26 მაისს, ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად, ს. ხოვლის სამკითხველომ დაურიგა თითო წიგნი პუშკინის თხზულება 15 მოსწავლეს, რომელთაც წლეულს დაამთავრეს კურსი ს. ხოვლის სკოლაში, 4 საუკეთესო მოსწავლეს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა და 11 ი. იმედაშვილის გამოცემა.

*** ახალ-ციხე. ახალციხეში არსებობს სამრევლო სკოლა, რომელშიაც 60-მდე ქართველი კათოლიკე და ამდენივე მართლ-მადიდებელი ბავშვი სწავლობს. სკოლის საქმე კარგად მიდის და, იმედია, მომავალში უფრო კარგად წავა, მხოლოდ საკუთარის შენობის უქონლობა-კი სკოლას მეტად უშლის საქმეს. ამბობენ, სკოლა უნდა გადაკეთდეს და საკუთარი შენობაც გაუკეთდესო.

*** 10 ივნისს, ღამის 12 საათზედ, ერისთავის ვიწრო ქუჩაში, სარკისოვის სახლში, ქუთაისის გუბ. რაჭის მაზრის მცხოვრებმა თეოფილე ახვლედიანმა ჩხუბი დაუწყო იაკობ ბრონერს, რომლის დროს ხანჯალი ამოიღო და ორ ადგილას დასჩრა ბრონერი. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო ახვლედიანი დაპატიმრეს.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება მიბოძეთ 20 ივნისიდგან ორის თვის ვადით საზღვარგარედ წავიდე სამკურნალოდაო.

*** 9 ივნისს რაჭის მცხოვრებმა ლუარსაბ ივანეს ძე გორძიანმა განაცხადა პოლიციაში, რომ კახეთის ქუჩაზედ მომვარდა სიღნაღის მცხოვრები ამირან ნიკოლოსოვი, ამაგლიჯა გულიდგან ვერცხლის საათი, ღირებული 15 მანეთად და სადღაც დაიმალაო. ნიკოლოსოვი პოლიციამ უკვე შეიპყრო.

ს. არანისი, (დუშეთის მაზრა). 8 ივნისს, საღამოთი, ჯერ არც წვიმა და არც ქარი ყოფილა; მარტო დასავლეთისაკენ ღრუბლები მოგროვილიყო და მათი რუხრუხი გვესმოდა. ღრუბლებმა ჩვენსკენ წამოიწია, არაგვს გადმოჰხედა და წამოვიდა კიდეც მშრალი სეტყვა, ჯერ თითო-ოროლა და მერე უფრო მოუხშირა. სეტყვა კარგა მსხვილი მოდიოდა, ზოგი ვარიის კვერცხს არ ჩამოუვარდებოდა. თითქმის ათი წუთის განმავლობაში უწყვეტლივ მოდიოდა სეტყვა, ბოლოს წვიმაც მოჰყვა. ჩარევა არანისი და მის ახლო-მახლო სოფლები, არაგვს გაღმა-გამოღმა მდებარენი. ხელიდამ გამოეცალა ხალხს წლის მოსავალი; თითქმის სულ გაანადგურა შემოსული ყანები, შემუშავებული ვენახები და ყველა ცალიერზედ დასტოვა. მშვენივრად შემუშავებული დიდი ზვარი აქაურის მებატონისა აზ. საამ ზანდუკელისა ისე მილეწ-მოლეწა, რომ შემდეგშიაც არ გამოდგება. ზარალი დიდია.

---

## საზოგადო წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა.

7 თიბათვე 1899 წ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მესამე მუხლი ჟორდანიას განცხადებისა. გამგეობამ განმარტა, რომ მას ძალიან ჰსურს სკოლების გამრავლება, მაგრამ ჯერ საშუალების უქონლობა და შემდეგ გარეშე დამოუკიდებელნი გარემოებანი ნებას არ აძლევენ თავისი სურვილი შეასრულოსო. კრებამ მიიღო მხედველობაში ეს განმარტება.

განცხადების მეოთხე მუხლი შეეხებოდა საკვირაო სკოლების დაარსებას საზოგადოების სკოლებთან. გამგეობამ განმარტა, რომ საკვირაო სკოლის დაარსებას ვერ დაავალებს მასწავლებლებს, რადგან ისინი ექვსი დღის განმავლობაში ჰმუშაობენ და მეშვიდე დღე დასვენებისთვის უნდათო. ხოლო როდესაც თითონ მოუ სურვებიათ კვირაობით მეცადინეობა, გამგეობას ყოველივე დახმარება აღმოუჩენიაო.

ნ. ჟორდანია. მასწავლებელს რომ ცოტაოდენი ჯილდო დაუნიშნოთ, იქნება კვირა დღესაც იმუშაოს.

კრებამ მიიღო მხედველობაში გამგეობის განმარტება და შეუდგა განცხადების შემდეგის მუხლის განხილვას. ამ მუხლში ბ-ნი ჟორდანია, აღნიშნავს რა საზოგადოების სკოლათა უნუგეშო სურათს, ასახელებს წინარეხის სკოლას, სადაც ვითომ წლის განმავლობაში ყოფილიყოს მხოლოდ 7 მოსწავლე. შემდეგ სკოლაში მოსწავლეთაგან ურიგოდ სიარულის მიზეზად ასახელებს სიღარიბეს და ურჩევს გამგეობას ამ მიზეზის მოსპობას ღარიბის მოსწავლეებისათვის ფეხთსაცმელისა და ტანისამოსის დარიგებით.

პირველად შენიშნულ იქმნა გამგეობის მხრივ, რომ წინარეხის სკოლაში წლის განმავლობაში სწავლობდა შვიდი მოსწავლე კი არა, არამედ გაცილებით მეტი. 1 იან. 1898 წ. ყოფილა სკოლაში 45 მოსწავლე, ეგზამენებამდე სწავლისათვის თავი დაუნებებია 4 ს, რევიზორს თიბათვის 7-ს გამოუცდია 17 მოსწავლე იმ დროს, როცა სწავლა გათავებული ყოფილა და მოსწავლენი დათხოვნილნი; მხოლოდ შემოდგომაზედ ახალის მასწავლებლის ხელში სწავლა დაწყებულა გვიან, გიორგობისთვეში და იანვრის 1-მდე მოსწავლეთა რიცხვი არ ასცილებია შვიდს. ამ მოვლენის გამო მასწავლებელმა სკოლას თავი დაანება და მის მაგიერ დანიშნულის მასწავლებლის ხელში მოსწავლეთა რიცხვი 50-ზედ მეტი შეიქნა. გამგეობამ შენიშნა, რომ აქ მიზეზი ედება ახალს მასწავლებელს, რომელმაც თითონვე გაასწორა საქმე მით, რომ სამსახურს დაეთხოვაო. რაიცა შეეხება ჟორდანიასაგან აღიარებულს მიზეზს სოფლის სკოლებში მოსწავლეთა გაკვეთილების გაცდენისას, გამგეობამ განმარტა, რომ სიღარიბე (ე. ი. სიშიშვლე და სიცივე) არ არის იმისი მიზეზი, რომ მოსწავლენი სკოლაში რიგიანად არ დადიან. შენიშნულია, რომ ყველაზედ რიგიანად და ბეჯითად სოფლის სკოლებში მოსწავლენი დადიან მაშინ, როცა ძალიან ცივა, ე. ი. შუა ზამთარში; ხოლო არ დადიან რიგიანად მაშინ, როცა თბილა, ე. ი. შემოდგომასა და გაზაფხულზედ. ამას გარდა შეუძლებელია გამგეობამ მიიღოს ჟორდანიასაგან ნაჩვენები ღონისძიება, რადგან მუქთად ფეხთ-საცმელისა და ტანისამოსის დარიგება მხოლოდ მათხოვრობას შეაჩვევს ხალხს და საგანს არ მიაღწევსო. ბევრი განგებ იმისთვის დაიწყებს სიარულს სკოლაში, რომ ტანისამოსი მიიღოს და მიღების შემდეგ აღარ მოვიდეს სკოლაში. ასეთი მოვლენა შეინიშნა წიგნების მუქთად დარიგების დროს: ბევრი მოსწავლე დასაწყისში მოდის სკოლაში, იღებს მუქთად წიგნებს და შემდეგ აღარ მოდის სკოლაშიო.

კრებამ მიიღო განმარტება გამგეობისა და უარ-ჰყო ნ. ჟორდანიას წინადადება.

შემდეგ ბევრი ბაასი გამოიწვია ნ. ჟორდანიას კითხვამ, თუ რა მიზეზით გადაიყვანა სამი მასწავლებელი სენაკის სკოლისა სხვა სასწავლებლებშიო. გამგეობამ განმარტა, რომ მისის აზრით საქმის სიკეთე მოითხოვდა, რომ სამი მასწავლებელი გადაგვეყვანა და ამიტომ გადავიყვანეთ, ამ შემთხვევაში გამგეობა სარგებლობდა თავისის უფლებით და არავის აქვს ნება მოსთხოვოს მას პასუხი იმის შესახებ, თუ რად ისარგებლა ამ უფლებითაო. ბ-ნნი ნოე ჟორდანია და მ. ნასიძე თხოულობდნენ, რომ არჩეულიყო კომისია იმის გამოსაკვლევად, თუ რად იყვნენ გაგადაყვანილნი მასწავლებელნი, თავმჯდომარემ უპასუხა, რომ კრებას წესდებით არა აქვს ნება დანიშნოს კომისია იმის გამოსარკვევად, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა გამგეობა, როდესაც თვისის უფლების და მოვალეობის ფარგალში ჰმოქმედებდა, თქვენ შეგიძლიანთ მხოლოდ შეამოწმოთ, ნამდვილად მომხდარა ის, რაც ანგარიშშია მოხსენებული, თუ არა, ხოლო თუ ნამდვილად მომხდარა და ეს მომხდარი გამგეობას ჩაუდენია თავის უფლების ფარგალში, მაშინ საზოგადო კრებას არაფერი რჩება-რა იმის მეტი, რომ სახეში მიიღოს იგიო.

კრებამ უარჰყო ნოე ჟორდანიასი და მიხეილ ნასიძის წინადადება და საჭიროდ არ ჩასთვალა ამ საგნის შესახებ ბაასის განგრძობა.

---

ბრძოლა გამოუცხადა სამღვდელოებას. ხუმრობით ამბობდნენ ხოლმე, რომ დღეში სარსეს თითო მღვდელი არა ჰყოფნის საუზმეთაო.

სარსე მეტად მშრომელი კაცი იყო. ყოველ დღე ორ-სამ წერილს სწერდა, ასე რომ 40 წლის განმავლობაში 20,000 წერილზედ მეტი დაუწერია. ყველა იმისი წერილები ცალკე წიგნებად რომ დაიბეჭდოს, სულ ცოტა 500—600 დიდი ტომი მაინც შესდგება.

თუ რამდენად მშრომელი კაცი იყო სარსე შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. როდესაც გაზეთი „Gaulois“-ი დაარსდა, სარსე თანამშრომლად მიიწვიეს, მაგრამ ერთის წლის შემდეგ სხვა თანამშრომლებმა თავი გაანებეს რედაქციას და სარსემ, 3,000 ფრანკად თვეში, მარტომ იკისრა მთელის გაზეთის შედგენა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ სარსე თითქმის ყოველ საღამოს თეატრში იყო ხოლმე. პარიჟში 20 თეატრია და 40 წლის განმავლობაში ამ თეატრებში არც ერთი ახალი პიესა არ წარმოუდგენიათ და არც ერთი ახალი არტისტი არ გამოსულა სცენაზედ, რომ სარსე არ დასწრებოდა. ამას გარდა თვეში რამდენჯერმე „ოდეონ“-ის, და „ბოდინიერ“-ის თეატრებში არტისტებს ლექციებსაც უკითხავდა ხოლმე დრამატიულ ხელოვნებეს შესახებ, თვალ ყურსადევნებდა დრამატიულ ლიტერატურას, და ყველა ამის შემდეგ გასართობადაც საკმაო დრო რჩებოდა.

სარსე მდიდრულად და დიდ-კაცურად სცხოვრობდა. გაზეთები კარგ სასყიდელს აძლევდნენ და შემოსავალი დიდი ჰქონდა: თვეში 15,000 მანეთამდე იღებდა. სახლში მთელი კანცელარია ჰქონდა გამართული, სადაც 5—6 მდივანი იჯდა და იმის წერილებს სწერდა.

ბურჟუაზულ წრეში აღზრდილი და ბურჟუაზულ იდეებით გამოკვებული, თვით სარსეც თავით-ფეხამდე ბურჟუა იყო. ახალი სარსეს არაფერი არ უთქვამს, ისევ იმას იმეორებდა, რაც ბურჟუაზულმა საზოგადოებრივმა წეს-წყობილებამ შეიმუშავა და უკანასკნელ სიტყვად აღიარა. სათეატრო მიმოხილვებსა და მატიანებში სარსე უმთავრესად საზოგადოების, ბრბოს აზრით ხელმძღვანელობდა (რასაკვირველია ბურჟუაზულ საზოგადოებისა). „თუ პიესა საზოგადოებას მოეწონა, იგი (პიესა) საუკეთესოა, ხელოვნურია, თუ არა და არა“-ო, ამბობდა ხოლმე ხშირად „ბიძია სარსე“. შედეგად ის მოჰყვა ამას, რომ სარსემ უარ-ჰყო ისეთი პირველ ხარისხოვანი მწერლები, როგორნიც არიან იბსენი და ვაგნერი, თითქმის ჰიგო, შექსპირი და მიუსსეც და შეაქო და აამაღლა შუათანა დრამატურგები, რომელთა პიესებიც სავსეა ეფექტებით და პათეტიურის სცენებით. სარსეს არა სწამდა, რომ დრამატიულ ნაწარმოებში შეიძლება რამე იდეია, დედა-აზრი გაატარო, ის ერთსა თხოულობდა ავტორისაგან: პიესა ბურჟუაზულ მორალის საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავდეს და ამასთან ხალხის გამხიარულება შეეძლოს. სარსე დიდი წინააღმდეგი იყო, მაგალითად, სოციალურ და პოლიტიკურ ტენდენციებისა დრამატიულ ნაწარმოებში.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სარსე დიდს გავლენას, ავტორიტეტს და სახელს მოიპოვებდა იმ წრეში, იმ კლასში, რომლის აზრების განმახორციელებელი და განმავრცელებელიც ის იყო. ეს კლასი-კი საფრანგეთში დღეს ბატონობს, სათავეში უდგა ჯერ-ჯერობით საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას და ყველაფერი იმის ხელთ არის.

ამ ავტორიტეტის წყალობით კრიტიკოსი სრული ბატონი და ბრძანებელი შეიქმნა საფრანგეთის თეატრისა. ერთის კალმის მოსმით იმას შეეძლო ახალის პიესის, ახალის არტისტის მიწასთან გასწორება. იმის მიერ დაწუნებული პიესა ან არტისტი თავის დღეში ფეხზედ ვეღარ წამოდგებოდა; სამაგიეროდ მოწონებულ პიესას ან არტისტს დიდი სახელი უვარდებოდა.

რასაკვირველია ასეთის ღონიერის კაცის წინაშე ყველანი თრთოდნენ: დრამატურგებიც, არტისტებიც და თეატრის დირექტორებიც. რა ნიჭიერი არტისტი ან დრამატურგიც უნდა ყოფილიყო, რაკი სარსე ნიშანში ამოიღებდა, იმის ანდერძი აგებული იყო. საკმაოა გავიხსენოთ დრამატურგი ანრი ბეკი (ისიც ამას წინად გარდაიცვალა). ბეკი ნიჭიერი დრამატურგი იყო; თავისს დრამატიულ ნაწერებში იგი ახალ გზას, ახალ მიმართულებას დაადგა, მაგრამ სარსემ იმისი პიესები ხალხის თვალში გააცრუა. ბეკმა სიღარიბეში დალია სული.

ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში საფრანგეთის თეატრს სარსემ თავისი დაღი დაასვა. დრამატურგები, თეატრის დირექტორები და არტისტები სარსეს გემოთი ხელმძღვანელობდნენ; პირველნი ისეთ პიესებს ადგენდნენ, როგორიც სარსეს მოსწონდა, მეორენი ისე თამაშობდნენ, როგორც სარსეს სურდა. სათეატრო, სადრამო ხელოვნებაში სარსემ ახალს მიმართულებას გზა არ მისცა. ეჭვი არ არის, სარსე დიდ ზარალს მოუტანდა საფრანგეთის თეატრს: მან შეჰბოჭა, შეზღუდა სათეატრო ხელოვნება, ფრთა არ გააშლევინა მას. ყველა ამის გამო ახალგაზრდა დრამატურგთა შორის სიძულვილმა და ზიზღმა სარსეს მიმართ იქამდის მიაღწია, რომ იმის გვამს დასაფლავება არც-კი დააცალეს, გარდაცვალებისათანავე გაზეთებში გაჰკიცხეს და ცუდათ მოიხსენიეს კრიტიკოსის მოღვაწეობა.

სიმართლე მოითხოვს ვაღვიაროთ, რომ სარსემ რაოდენიმე სარგებლობაც მოუტანა საფრანგეთის თეატრს: იმის წყალობით თეატრი დეკადენტობას ასცდა. ამასთან სარსემ თეატრი აამაღლა ხალხის თვალში, შეაყვარა დრამატიული ხელოვნება საზოგადოებას. სარსე ამას გარდა გულ-წრფელი კაცი იყო, იმას აკეთებდა და სწერდა, რაც სწამდა და საკეთილოდ მიაჩნდა. არც თავ-მოყვარე კაცი იყო: ადვილად შეეძლო აკადემიის წევრად გამხდარიყო, მაგრამ „ბიძია სარსემ“ ეს არც ერთხელ არ მოისურვა.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნაირად დასრულდა ნ. ჟორდანიას განცხადების განხილვა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება განსვენებულის ალ. როინაშვილის მიერ ნაანდერძევის შესახებ, სადაც ჩამოთვლილი იყო დაწვრილებით, თუ რისგან შესდგება ნაანდერძევი ქონება. კრებამ მიიღო სახეში მოხსენება და გამოსთქვა სურვილი, რომ მუზეუმი ხელ უხლებლად დაცულ იქმნას, ხოლო ფოტოგრაფია კვლავაც ისე აწარმოვოს გამგეობამ, როგორც აქამდე უწარმოებია. ამას გარდა კრებამ გადასდო 300 მან. განსვენებულის საფლავზედ ქვის დასადებად. რკინის მოაჯირი-კი საფლავზედ უკვე გაუკეთებინებია გამგეობას.

მას უკან წაკითხულ იქმნა სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა, რომლითაც გამოანგარიშებული იყო შემოსავალი 13,060 მან., გასავალი 12,930 მ., კრებამ გასავალს მიუმატა მხოლოდ 300 მ., როინაშვილის ძეგლისათვის და დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა იმათი სია, რომელთაც გამოუცხადებიათ სურვილი საზოგადოების წევრებად გახდომისა და ფულიც წარმოუდგენიათ ზოგს საზოგადოების კასა'ში, ზოგს საზოგადოების ბათუმის აგენტს გრ. ვოლსკისთან. კრებამ ყველანი ერთხმად აირჩია წევრებად: 1 დამფუძნებლად (ალ. მ. ჰყონია) და 104 ნამდვილ წევრებად.

სულ ბოლოს მოხდა არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა. გადაწყდა ბარათებზედ დაეწერათ სახელი და გვარი ასარჩევ კაცებისა და ვისაც უმეტესობა შეხვდებოდა, არჩეულ იქმნებოდენ. არჩევანში მონაწილეობა მიიღო 22 პირმა. ბარათებით დასახელებულ იქმნენ თ. ალ. ნ. დიასამიძე 15 ხმით, ვლ. ბეჟ. ლორთქიფანიძე 14 ხმით, ივ. ნიკ. მაჰავარიანი 11 ხმ., ანტ. ნიკ. ფურცელაძე 10 ხმ., ნოე ჟორდანია და პეტრე უმიკაშვილი 7 ხმით და მ. ნასიძე 6 ხმით. რადგან ალ. დიასამიძემ არ ინება გამგეობის წევრობა და სურვილი გამოაცხადა კანდიდატად ყოფნისა, გამგეობის წევრად გამოცხადებულ იქმნა ვლ. ლორთქიფანიძე, ხოლო კანდიდატებად თ. ალ. დიასამიძე, ივ. მაჰავარიანი და მ. ნასიძე, რადგან ნოე ჟორდანიამ და პეტრე უმიკაშვილმა უარი სთქვეს კანდიდატობისა.

კრება გათავდა ნაშუადღევის 4 ნახევარ სათზედ.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

4 ივნისი

გ. ს. თაყაიშვილი. კითხულობს 66—67 გვ. რევიზორის ანგარიშიდგან და ჰკითხავს გამგეობას, მართლა გამგეობამ გორგიძის საქმეში თავისი თავი ორნაირად დაიჯილდოვა?

გ. ნ. ჩიკვაიძე. კითხვა გორგიძის საქმის შესახებ იურიდიული კითხვაა. მე მგონია, რომ ამ საქმეში სიმართლე მიმიძღვის. თუმცა ეს საქმე წავაგეთ ოლქის სასამართლოშიაც, პალატაშიაც და ეხლა გადატანილია სენატში და იქ სწარმოებს, მაგრამ მე ჩემი თავი მაინც მართალი მგონია, თუ გინდ სენატმაც გაგვამტყუნოს. ყოველ ამისთანა საქმეს სენატამდის მივიტან. რადგან მე მტკიცედ დარწმუნებული ვიყავ ჩემს სიმართლეს, არ დავთანხმდი და არ მოურიგდი გორგიძეს, თუმცა იმან ითხოვა ეს მორიგება.

დ. ბ. ხელთუფლიშვილი. გამგეობას ამ შემთხვევაში შეცდომა მოუვიდა, რომ გორგიძის სახლის დაწვის შემდეგ ცარიელ ადგილი'ს ვაჭრობა დანიშნა და ვაჭრობის შემდეგ ბანკს დაუტოვა; ამით იგი დაკმაყოფილდა და დაზღვევის პრემიაზედ უარი განაცხადა.

თ. ნ. ე. თავდგირიძე. რა განსაცვიფრებელ შეღავათს უწევს ჩვენის ბანკის გამგეობა მსესხებლებს!? ერთ შემთხვევაში სასტიკად ასრულებს კანონის ბრძანებას, მეორე შემთხვევაში სრულიად უარს ეუბნება შეღავათისას!

გ. ს. თაყაიშვილი. კითხულობს რევიზორის დასკვნის მ-17 მუხლს და ჰკითხავს ზედამხედველ კომიტეტს: მართალია, რომ გამგეობა ჯეროვანის პატივისცემით არ ეპყრობა ზედამხედველ კომიტეტს? რევიზორის შენიშვნების შემდეგ ზედამხედველმა კომიტეტმა გამგეობას მისცა რაიმე ინსტრუქცია და ეს ინსტრუქცია გამგეობამ აასრულა, თუ არა?

დ. ს. ღოღუა. (ზ. კ. წევრი) ზედამხედველ კომიტეტს რამდენჯერმე მიუცია გამგეობისათვის დარიგება. (კითხულობს ზ. კ. 1899 წ. 11 მაისის დადგენილებას, საიდანაც სჩანს, რომ დარჩენილის მამულების აღწერა არ არსებობს, მფლობელობაში ბანკი არ შესულა, შემოსავლის და გასავლის ანგარიში არ არსებობს), მაგრამ გამგეობას არ შეუსრულებია. (სიცილი გაისმის საზოგადოებაში).

გ. ს. თაყაიშვილი. ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა თუ ასე სისტემატიურად ერთმანეთს არ უგონებენ და ერთმანეთს არ ეთანხმებიან, მაშ ანარქია ყოფილა ჩვენს ბანკში!

გ. ნ. ჩიკვაიძე. თუ პირადად ამ კითხვით მე მომმართეთ, ამის პასუხად მოგახსენებთ, რომ მე თითონ ჩემს თავს არ ვეთანხმები.

ს. ნ. თაყაიშვილი. ასე არ შეიძლება, ბატონო! გამგეობა უნდა დაემორჩილოს ზედამხედველ კომიტეტს, ამას კანონი გვიბრძანებს, ზედ. კომიტეტი არის უმაღლესი ორგანო; ბანკს დაგვიკეტავენ... საშინელი მდგომარეობა ყოფილა.

გ. ნ. ჩიკვაიძე. მეც ვიცი, რომ მორჩილება უნდა, მაგრამ როცა არ შეიძლება მორჩილება? ჩვენ რომ ზედ. კომიტეტის განკარგულება მკაცრად ავასრულოთ, არც ერთ მსესხებელს მამული არ შერჩება ხელში. ამის გამო ჩვენ გვერდს ვუქცევთ ზედ. კომიტეტის ბრძანებას.

გ. ს. თაყაიშვილი. მაშ რას შვრება ზედამხედველი კომიტეტი. რატომ არას ჰფიქრობს?

გ. ნ. ჩიკვაიძე. რა უნდა ჰქმნას, კრივს ხომ არ გაგვიმართავს!

დ. თ. ღოღუა. მართალია, უთანხმოება ჰსუფევს ზედ. კომიტეტსა და გამგეობის შორის. ჩვენ დავადგენთ რასმე, გავუგზავნით გამგეობას, იგი ყურადღებას არ აქცევს ჩვენს დადგენილებას, განსაკუთრებით ამ დარჩენილის მამულების შესახებ და თავს მართლულობს იმითი, რომ იმ დადგენილების ასრულება არ შეიძლებაო. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა კრებამ დაავალოს ზედ. კომიტეტს, წარმოუდგინოს ხოლმე საზოგადოებას მოხსენება თუ რამდენი დადგენილება ზედ. კომიტეტისა აასრულა გამგეობამ და რამდენი არა.

თ. ა. წერეთელი. ზედ. კომიტეტმა განაჩენი უნდა დაადგინოს და ეს განაჩენი გამგეობამ უნდა შეასრულოს. თუ ვერ შეასრულა, საზოგადო კრებას უნდა მოხსენდეს, რა მიზეზის გამო ვერ შეასრულეთ ეს ბრძანება?

ა. თ. ნანეიშვილი. თუ დარჩენილის მამულის აღწერა ხელთ არა გვაქვს, ისე ამ მამულების ავსა და კარგს ვერ გავიგებთ. დარჩენილ მამულებს არა ფერი შემოაქვსო, ამბობენ, მიზეზს-კი არ ასახელებენ. იქნება აქ დაფასებას ედებოდეს ბრალი. თუ ასეა, სთქვან. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ აქ გამგეობის დაუდევრობას აქვს ბრალი და არა სხვა რასმე. რაჭის მაზრაში არის ათი წლის დარჩენილი მამული, რომელიც დღემდის არ არის აწერილი. სხვაგანაც ბევრგან არის ასე.

დ. ნ. ბაქრაძე. მე იმ აზრისა ვარ, რომ თუ რომელიმე წევრი გამგეობისა არ ემორჩილება ზედამხედველის კომიტეტის განკარგულებას, კომიტეტს უფლება უნდა მიეცეს დროებით დაითხოვოს ამისთანა წევრი და ეს დადგენილება შემდეგს მორიგ კრებას მოხსენდეს. ამ საგნის შესახებ დაწვრილებით მაშინ ვილაპარაკოთ, როცა წესდების §§-ის შეცვლის გამო გვექნება ბაასი. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

კრება გათავდა შუადღის 4 საათზედ და გადიდვა შემდეგის დღისათვის.

## იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა საგანგებო კრება

იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა საგანგებო კრება დაიწყო 1-ლ ივნისს და გასტანა ორ დღეს. ამ ორ დღეში კრებამ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ იმერეთის სამღვდელოება ჭეშმარიტს წინმსვლელობის გზას ადგია. ეს ორი დღე ოქროს ასოებით უნდა აღიბეჭდოს იმერეთის სამღვდელოების ისტორიაში.

რითი გამოიხატა სამღვდელოების კრების ასეთი მოქმედება? პირველად იმით, რო მან მკვიდრი საძირკველი ჩაუდვა იმერეთის სამღვდელოების ქალთა განათლების საქმეს: იმერეთის სამ-კლასიანი გაბრიელის სახელობის საეპარქიო ქალების სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნა ექვსკლასიან სასწავლებლად. დიდი შეწეოა აღმოუჩინა ამ საქმის ამ გვარად გადაწყვეტას უწ. სინოდმა, რომელმაც, ამ სასწავლებლის საბჭოსა და ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის შუამდგომლობის თანახმად, დაუნიშნა ამ სასწავლებელს სახელმწიფო თანხიდგან 2,000 მანეთი ყოველ წლიურად. დიდი ზრუნვა გამოიჩინა ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა, რომელმაც კრების დაწყებამდე მოკლე სიტყვით განუმარტა სამღვდელოებას დიადი მნიშვნელობა ქალთა განათლებისა და წინა-დაუდო სამღვდელოებას გარდაექმნა ეს სასწავლებელი სამ-კლასიანიდგან ექვს-კლასიანად. დიდი ღვაწლი და მეცადინეობა მიუძღვის აგრეთვე ამ საქმის ჯეროვანად დაგვირგვინებაში ამა სასწავლებლის ინსპექტორს ბ-ნ ი. სანებლიძეს, რომელმაც გააბედვინა სამღვდელოებას ამ ფრიად დიდის საქმის კისრება. კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა ექვს კლასიანი სასწავლებელი გაიმართოს მომავალ-სამოსწავლო წლის დასაწყისიდგან და ყოველ-წლიურად მიეცეს შესანახად ათასი მანეთი სანთლის ქარხნიდგან, გარდა იმ ორის ათასი მანეთისა, რომელსაც ეს სასწავლებელი იღებდა დღემდის ამ ქარხნიდგან, და გარდა ამისა 2,000 მანათი მიეცეს ყოველ წლიურად იმერეთის ეპარქიის მდიდარ ეკკლესიების შემოსავლიდგან. ამ გვარად, სამღვდელოებამ ერთი დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ.

მეორე არა მცირედი ღვაწლი ამ საგანგებო კრებისა აღიბეჭდება იმით, რომ მან პირველად მიაქცია ყურადღება სანთლის ქარხნის სრულ გაწეს-რიგებას. ეს ფრიად დიდი შემოსავლიანი საქმე წინაზედ დიდ განსაცდელში იყო; ერთს დროს ბევრი ბოროტ-მოქმედება მოხდა ამ საქმის წარმოებაში. იმ ხანად სანთლის საქმე წარმოადგენდა სათლელ ბეჭს. ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა გამოიჩინა ფრიად დიდი ზრუნვა სამღდელოების კეთილ-დღეობისათვის; მან გადასცა ამ საქმის წარმოება თვით სამღვდელოებას და დაუმორჩილა მისს გამგეობას. ეს სრული სამი წელიწადია, რაც სამღვდელოება განაგებს ამ საქმეს და აღმოჩნდა, რომ ეს საქმე სამღვდელოების ხელში და მეთვალყურეობის ქვეშ უფრო კარგად მიდის, მხოლოდ გამგეობის წეს-რიგში კიდევ იყო დარჩენილი ძველი შეხედულობა, რაც რაოდენიმედ აფერხებდა ამ საქმის სრულ აღყვავებას. ამ უწეს-რიგობას გამგეობისას პირველად მიაქციეს სამღვდელოების ყურადღება გამგეობის წევრებმა მღვდებმა ფ. ფხაკაძემ და სპ. ლეკვეიშვილმა. მეორემ 2 ივნისის კრებაზედ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და დაუმტკიცა მაყურებლებს, რომ მართვა-გამგეობის უწეს-რიგობას შეუძლიან დიდი ზარალი მოუტანოს შემდეგში სანთლის საქმეს და ხელიდგან გამოაცალოს სამღვდელოებას ეს მშვენიერი წყარო, რომლითაც იგი ინახავს თავისს სასწავლებლებსო. მამა ლეკვეიშვილმა სთქვა, რომ მართვა-გამგეობის უწეს-რიგობას ხელს უწყობს და, მაშასადამე, წესიერად საქმის წარმოებასაც აფერხებს თავმჯდომარე ამ გამგეობის კომიტეტისა დეკანოზი დ. ღამბაშიძეო, რომელიც უწესოდ ჰმოქმედობს ამ საქმის წარმოებაში, წინააღმდეგ მართვა-გამგეობის წესდებისაო. იგივე აზრი გამოსთქვა მღვდელმა ფ. ფხაკაძემაც. გამოთქმულ აზრს თანაუგრძნო ახალგაზრდა სამღვდელოებამ და ხმის უმეტესობით (25 ხმით, წინააღმდეგ რვისა) გარდასწყვიტეს სანთლის წარმოების საქმე ჩამოერთვას დეკანოზ დ. ღამბაშიძეს და ამორჩეულ იქმნას ახალი გამგე კომიტეტი, რომელსაც უნდა დაევალოს შესრულება და გაწეს-რიგება სანთლის წარმოებისა იმ განცხადების თანახმად, რომელიც მისცეს კრებას ზემოდ აღნიშნულ ძველი გამგე-კომიტეტის წევრებმა, მ. ფ. ფხაკაძემ და სპ. ლეკვეიშვილმა. ეხლა აკლია ამ საქმეს დამტკიცება საეპარქიო მთავრობისაგან, მაგრამ იმედია ყოვლად სამღვდელო ბესარიონი არ დააგვიანებს ამას, რითაც სამღვდელოების კანონიერს სურვილს დააგვირგვინებს. ამით დაგვირგვინდება აგრეთვე მის მიერ შექმნილი საქმე, რომლითაც მან გამოიჩინა სრული და განუსაზღვრელი ზრუნვა სამღვდელოების კეთილ-დღეობის განსახორციელებლად.

დამსწრე მღვდელი

# რუსეთი

ხალხის ჯანმრთელობის საზოგადოებას განზრახვა აქვს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სახელოსნო სკოლები ოსტატებისა და მათის თანაშემწეების მოსამზადებლად, და აგებულ იქმნას სახლები მუშათა საცხოვრებლად.

— მთელს იმპერიაში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზედ გაწერილი გადასახადი 1899—1901 წ. უდრის ცხრა მილიონ მანეთს.

— იმიერ-კასპიის ოლქის გარუსების დასაჩქარებლად საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ცხრა რუსული ადგილობრივი სკოლა, რომლებშიაც რუსულ ენასთან ერთად ასწავლიან ადგილობრივს ენებსაც.

— ფინანსთა სამინისტრო შეუდგა ახალის დებულების შემუშავებას უცხო ქვეყნელ მუშათა შესახებ, რომელნიც ქარხნებში მუშაობენ. ამის გამო ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა შეადგინა წეს-რიგი, რომლითაც დაწვრილებითი ცნობები უნდა შეიკრიბოს ამ საქმის შესახებ.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** სადაც არის, დრეიფუსი უნდა დაბრუნდეს ეშმაკის კუნძულიდგან საფრანგეთში, და ეს გარემოება ძლიერ აღელვებს საფრანგეთის საზოგადოებას. მის ნათესავთ და მომხრეთ უხარიანთ მისი დაბრუნება და მოუთმენლად მოელიან იმ ჟამს, როცა ახალი სამხედრო სასამართლო სრულებით გაამართლებს ბრალდებისაგან; ხოლო მოწინააღმდეგეებმა სიბრაზისაგან აღარ იციან, რა ჰქნან, რა საშუალებას მიჰმართონ, რომ წაგებული საქმე ხელახლა შემოაბრუნონ. მთავრობა უეჭველსაკე ამას კარგად ხედავს, გრძნობს, რომ დრეიფუსის დაბრუნების დროს ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, დასი აღარსიანად არ დაუწყებს ერთმანეთს ყურებას, და ამიტომ ამ თავითვე დიდს მზადებაშია, როგორმე მშვიდობიანობა დაიცვას. უკვე ცნობილია, რომ ეშმაკის კუნძულის პატიმარი ქალაქ ბრესტში უნდა გადმოსვან გემიდგან. იქაურ პრეფექტს ბრძანება მისცლია მთავრობისაგან, როგორ უნდა დაიცვას წეს-რიგი. ბრესტის მცხოვრებლები გულგრილად არ უყურებენ მთავრობის სამზადისს. 1 და 2 ივნისს მთავრობის განკარგულებით საკასაციო სასამართლოს განაჩენი გააკრეს ქალაქში; იმ ღამით ეს აფიშები ათას გვარ წარწერებით იქმნა აჭრელებული. ერთს რესტორანში, სადაც დიდ-ძალი ხალხი სასადილოდ თავს იყრის, ლაპარაკი მოუვიდათ ერთმანეთ შორის ადგილობრივ ლიცეის პროფესორებს და ფლოტის აფიცრებს, რასაც რამდენიმე დუელი მოჰყვა. ქალაქ რენშიაც დიდი მზადებაა წეს-რიგის დასაცველად, სადაც უნდა გაასამართლონ დრეიფუსი. ამ რამდენისამე დღის წინად პარიჟიდგან მო-

სულა იქ პოლიციის დირექტორი. მილიან კიდევ ას ჟანდარმს, ცხენოსან ჯარის ერთს ესკადრონს და პარიჟის პოლიციის აგენტებს.

—

**შეერთებული შტატები და ფილიპინები.** იმის გამო, რომ ამერიკის ჯარი რამდენჯერმე დამარცხდა ფილიპინელებთან ბრძოლაში და აგრეთვე სამხედრო უფროსების წინადადებითაც, ვაშინგტონის მთავრობამ გარდასწყვიტა ამ წვიმიანობის დროს შეაჩეროს ბრძოლა არხიპელაგზე. უფროსნი პირდაპირ განუცხადებიათ, რომ ეხლა უთუოდ შეუძლებელია ომის გაგრძელება, თუ მთავრობას არ უნდა, რომ ციებ-ცხელებამ ამოჟლიტოს მხედრობის ცხრა წილი. გარდა ამისა, ფილიპინებიდგან ავადმყოფობის გამო სამშობლოში დაბრუნებულ გენერალ კინგს განუცხადება სამხედრო საბჭოში, რომ ფილიპინელები პატარ-პატარა ბრძოლას მართავენ ჩვენთან, ამით მოსვენებას არ გვაძლევენ, გვღალავენ და ამიტომ მხელია თქმა როდის ექმნება დასასრული მათთან ომსაო. იმათ ერთობ მცირე მოთხოვნილება აქვთ ცხოვრებისათვის და ამიტომ რომ რამე შემოაკლდეთ, უფრო ადვილად იტანენ, ვიდრე ჩვენი ჯარის კაცნიო. იმათი მსროლელი ჯარი ბევრად სჯობია ჩვენსას, ხოლო ინჟინრები თუ არ სჯობნიან, დავარდნით მაინც არ დაუვარდებიან ამერიკელების ინჟინრებსო. იმათი აგებული სიმაგრეები ევროპიელ ინჟინრების ნამუშევარს არ დაუვარდებაო. ჩვენს ჯარშიო, — დაუმატებია კინგს, — დიდი უთანხმოება სუფევსო: კალანტიორები და მუდმივი ჯარის-კაცნი ერთნაირად არიან მოქანცულნი ომისაგან და სურსათის უქონლობით, და ყველანი ერთნაირად აცხადებენ უკმაყოფილებასო.

წვიმების შემდეგ ამერიკის მთავრობა 30,000 ახალ ჯარის კაცის გაგზავნას აპირებს თურმე მანილაში.

—

**ჰოლანდია და ოსმალეთი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ორ სახელმწიფოს შორის აქამდის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა, მაგრამ დღეს ძლიერ ასტეხებიათ ერთი მეორეზე გული და დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა მათ შორის. ოსმალეთის მთავრობას ვერ მოუნელებია, რომ ამ ჟამად ჰააგაში იმყოფებიან რევოლიუციონურ კომიტეტების წარმომადგენლები: სომხებისა, ოსმალეთის ახალ პოლიტიკურ დასისა და მაკედონიისა. ოსმალეთის დელეგატი თურხან-ფაშა დეპეშას დეპეშაზედ დებულობს თურმე იილდისკიოსკიდგან, მოსთხოვე ჰოლანდიის მთავრობას, რომ ხსენებულ კომიტეტების წევრები განდევნილ იქმნან ჰააგიდგანაო. ჰოლანდიის კანონები მფარველობას უწევს ყველა უცხოელს, რომელ პოლიტიკურ მოძღვრებასაც უნდა მისდევდეს იგი და ამიტომ მთავრობას ძალიანაც რომ უნდოდეს, ოსმალეთის თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. ოსმალეთის მთავრობას-კი დაუქადნია, რომ თუ ჩემი თხოვნა არ შეასრულე, ინ ლოეთის სამეფო-ბეილიკში შენს ქვეშევრდომ მაჰმადიანებს ავაჯანყებო.

—

### დამაკვირდი

მთელი კაცობრიობა ერთი დიდი გამოცანაა; ამიტომ ყოველის მისის წევრის შესწავლა ის ბილიკია, რომლიდ მის გამოცნობისაკენ მიემართება.

ბ. დ—შვილი

* * *

უკეთუ თავი არა შეიმუსრების, ტვინი არა სადა იხილვების.

ალექსანდრე მაკედონელი

* * *

მხოლოდ დიდებულნი არიან მტერ თავისუფლების: განსუქდებიან, აზვავდებიან, ამშლებიან: „არდა გვინდა ხელმწიფე“, — ჭყივიან — „ჯერ არს ჩვენვე ვიხელმწიფოთო“. გარნა არა უწყიან მათ, რომე სადა ყველას ხელეწიფების, იქ ნამტიცა თავისუფლების განქარდების.

ლასურიძე

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად შემდეგი სამწუხარო ამბავი მომხდარა გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში. ამ ქალაქის ერთ ქუჩაზედ სცხოვრობდა ხელოსანი ბრანდენშტეინი თავისის ახალგაზდა ცოლით. ამ რამდენისამე დღის წინად, საღამოს 10 საათზედ, როდესაც ქმარი სხვაგან იყო, სახლის კარები გარედგან ვიღაცამ დააკაკუნა. ქალმა კარები გააღო თუ არა, ოთახში ვიღაც ორი მაწანწალა შევარდა, რომელთაც სტაცეს ქალს ხელი, ხელ-ფეხი გაუკრეს, პირში ხელსახოცი დაუცეს და სახლის გაქურდვას შეუდგნენ. საცოდავი ქალი შეშინებული ეგდო იატაკზედ. როდესაც ქურდები ოთახს აქოთებდნენ, ქალმა როგორც იყო ერთი ხელი გაიხთავისუფლა და მეორის განთავისუფლებასაც შეუდგა, მაგრამ ქურდებმა თვალი მოჰკრეს, დაავლეს ხელი იქვე ლურსმებს და საწყალ ქალს ხელები იატაკზედ მიუკრეს. შემდეგ მოჰკრიბეს რაც რამ წასაღები იყო და წავიდნენ. საბედნიეროდ ქმარი მალე დაბრუნდა შინ და გულშემოყრილი ქალი გონს მოიყვანა. მაინც საწყალი საშიშ მდგომარეობაშია თურმე: ლურსმით მთავარი ძარღვი გაუკრეს.

* * *

ერთს გაზეთს ჩიკაგოდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ამ დღეებში ცეცხლი წაეკიდა მდინარე ჩიკაგოს, რომელიც მიჩიგ[illegible]ტბაში ჩადისო. ხიდზედ გავლის დროს ერთმა კაცმა მოკიდებული პაპიროზი გადააგდო მდინარეში და ცეცხლი იმისაგან გაჩნდაო. როგორც დეპეშა იუწყება, ცეცხლი დიდს მანძილს მოსდებია და ნაპირის შენობანიც-კი დაუზიანებია. მთელი ქალაქი გაკვირვებულა და განცვიფრებულა ამის გამო, მაგრამ როდესაც გამოუკვლევიათ, აღმოუჩენიათ, რომ თურმე მუშები ბოჭკიდგან ნავთს ასხავდნენ მდინარეში და ამ ნავთს მოსდებია ცეცხლი. ბევრს მცხოვრებელს არ დაუჯერებია ეს ამბავი, თვით მდინარეს აქვს ასეთი თვისებაო, ამბობდნენ ისინი.

* * *

იტალიელ პროფესორს აქსენფელდს შეუკრებია ცნობები სხვა-და-სხვა დროის გენიოსებისა და დიდად ნიჭიერ კაცების შესახებ და აღმოუჩენია, რომ უმრავლესობა ამ გენიოსებისა და ნიჭიერ კაცებისა სიყმის შვილები ყოფილან, მაგალითად, შოპენჰაუერი, ლიუტერი, დანტე, რაფაელი, და ვინჩი, მეფე კარლოს დიდი, ალექსანდრე მაკედონელი, კონფუცი, გეინე, გეტე, მაჰმადი, გოლდონი, პესტალოცცი, ტალეირანი, მილტონი, ბაირონი, მოლიერი, კარლეილი, როსსინი და სხვანი. მხოლოდ რამდენიმე გენიოსი ყოფილა მეორე და მესამე შვილი. ესენი არიან: ბეტხოვენი, მიკელ-ანჯელო, რუსსო, პასკალი, ჰარიბალდი, სავანაროლლა, პლატონი, შექსპირი, ტასო და მონტენი. უმცროსი შვილი გენიოსებს შორის მარტო სამი ყოფილა: ფრანკლინი (მეცამეტე შვილი), შუბერტი, (მეთოთხმეტე) და ვოლტი (მეშვიდე). ამ მოვლენას პროფესორი აქსენფელდი ფიზიოლოგიურ მიზეზებითა ხსნის და ამბობს, რომ აქაც, როგორც ყველა სხვა მოვლენაში, ბუნების კანონი მოქმედებსო.

---

## ხალხური ლექსები

(გაგონილი ქვემო-იმერეთში და ჩაწერილი ივანე ცქიტიშვილის მიერ)

ქალო, მომე ჩუგეში,
თავს ჩაგიდებ უბეში,
შენს სიყვარულს შევეჭმები,
როგორც ხარი უღელში.

—

ყველა ხე აყვავებულა,
შენ რას შვრები წიფელაო...
გოგო ერთი მაკოცნინე,
ჩემო ლოყა წითელაო!..

—

წვიმა მოდის, მასველებს,
სურვილი არ მასვენებს,
იმ გოგოს ვენაცვალე,
თვისს მკლავზედ მომასვენებს!..

---

## კიდევ ზაქარია ვალაშკერტელის შესახებ.

ნიკო მარრმა გადმოგვცა ჩვენ ერთი ფრიად საყურადღებო წარწერა. იგი გადმოწერილია ჩანგლის ტაძრის კედლიდამ სტეფანე მალხასიანციასაგან. ჩანგლი გაპარტახებული სოფელია ყარსის ოლქში და თვით ეკკლესიაც ტყით დაბურულია.

წარწერა ასოთ-მთავრით იკითხება ასრე:

1) ..პატრონი იყოს და წინამძღვარი, რომელსა სხვანი ძმანი

2) გაიღებდენ დეკანოზისათა შვიდმეტისა საპალითა მი-

3) ამძღვაროს. ვინ ესე ნაქმარი შეცვალოს კრულ არს პირითა.

5) ღუთისათა ექუსთა კრებათა მადლითა და ხუთთა პატრიარქ-

5) თა ჯუარითა და თორმეტთა მოციქულთა მადლითა.

6) ვინ და-

7) აამტკი-

8) ცოს ჯუარი

9) აქუს და კურთხევაჲ

ბოლოს: ზ~ია ვარაშკერტელი (ზაქარია). ამის მეტი რა გვეთქმის: ოღონდაც ყოფილან და არლა არიან!..

მ. ჯ.

---

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახლად დაბეჭდილი წიგნი „Каталогъ церковнаго музея грузинскаго экзархата, № 2. ეს კატალოგი გაგრძელებაა იმ კატალოგისა, რომელიც დაიბეჭდა წიგნში „Тифлисское церковное древлехранилище“. კატალოგში № 2, რომელიც შედგენილია მ. ჯანაშვილის მიერ, შეტანილია მოკლე აღწერილობა ხელნაწერებისა, სიგელ-გუჯრებისა, ხატ-ოდიკებისა და სხ. ნივთებისა. აღწერილია სულ 117 ხელნაწერი (№№-ები 367—484), 123 სიგელ-გუჯარი (№№-ები 871—994), 46 წმ. ნივთი და ფულები (№№-ები 56—102). ამათგან ხელნაწერები №№-ები 465—480 მიღებულია ტფილისის სიონის ტაძრიდამ, დანარჩენი ხელნაწერები შემატა მუზეუმს კახეთის მონასტრის წიგნთ საცავებიდგან, ხოლო სიგელ-გუჯარნი და სხ. ნივთები შემოსწირა მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარემ ყოვლად სამღვდელო კირიონ ალავერდელმა, რომლის გარჯა-გულებითვე კახეთიდგან ჩამოტანილ იქმნა ზემორე ხსენებული ხელნაწერები.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივნისი

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა, ინახულა რა გარეშე საქმეთა მინისტრი თევფიკ ფაშა, ხელ-ახლა აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გადახვეწილი სომხები სამშობლოშივე იქმნენ დაბრუნებული. რუსეთის მთავრობას უწინდელებრ მოლაპარაკება აქვს ამ დაბრუნების შესახებ და თხოულობს, რომ სომხებს ჩაჰბარდეთ ის უძრავი ქონებანი, რომელიც უმეტესად ქურთებმა ჩაიგდეს ხელთ.

**პარიჟი.** გაზეთები ამბობენ, რომ ვალდეკ-რუსსო იკისრებს კაბინეტის შედგენასაო.

**პარიჟი.** ოფიც. ჟურნ. ში გამოქვეყნებულია ბრძანება იმის შესახებ, რომ საზღვაო არტილერიის გენერალი დელაროკე ახალ განკარგულებამდე პატიმრობისაგან განთავისუფლებულ არ იქმნეს, დისციპლინის დარღვევის გამო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ აპიიდგან ატყობინებენ, რომ კომისიამ მელიეტოა-ტანუ მეფედ აღიარაო. ეს უკანასკნელი გადადგა მეფობიდგან კომისიის სასარგებლოდ, რომელმაც დროებით მთავრობა დანიშნა. კომისიის მოხსენებაში შემდეგია საყურადღებო ცნობილი: გაუქმებულ იქმნას მეფობა და პრეზიდენტის თანამდებობა; დანიშნულ იქმნას გუბერნატორი და საკანონმდებლო საბჭო სამის წევრისაგან, რომელთაც სახელმწიფონი დანიშნავენ; დაწესებულ იქმნას წარმომადგენელთა პალატა. ხმა დადის, რომ ზოლფა იქნება დანიშნული გუბერნატორადაო.

**კონსტანტინეპოლი.** მცირე აზიის ვილაეტების სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთ ბრძანება მიიღეს იმის შესახებ, რომ ნება არ მისცენ სომხების წინააღმდეგ არეულობანი მოხდეს ხოლმე.

**პარიჟი.** ვალდეკ-რუსსო დილით სასახლეში იქმნა მიწვეული. ლუბემ წინადადება მისცა კაბინეტი შეადგინეო.

**პარიჟი.** ვალდეკს მოლაპარაკება აქვს კაბინეტის შესადგენად. დახმარებას დაჰპირდნენ მონისი, დელკასე, ლანესანი, პიერ ბოდენი, ჟან დიუპუი, ლეიგა. ჰფიქრობენ, რომ გალიფე სამხედრო მინისტრობას იკისრებსო.

**პეტერბურგი.** მ. ა. სოლსკის მეცადინეობით პეტერბურგში არსდება პირველი სავადმყოფო იმათთვის, ვინც კუთი არიან ავად. ხელმწიფე იმპერატორმა ამ საქმეს 20,000 მანეთი შესწირა, ხოლო დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა — სამი ათასი მანეთი. იმედი აქვთ, რომ სხვებისაგანაც მიიღებენ შემოწირულებას.

---

## განცხადებანი


### „ტფილისის სობრანიე“

იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს ბუფეტისა და სამზარეულოს წარმოება იკისროს. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება „სობრანიის“ კანტორაში ყოველდღე საღამოობით 9-დგან 12 საათამდე.

(3 82—2)

სასწავლებელი—პანსიონი

**ნ. დიდებულიძისა**

იღებს ყმაწვილებს მოსამზადებლად აქვე, ან უ, სურვილისამებრ, საზაფხულო სახლში. იკითხეთ: მიხაილოვის ქუჩა № 129. (3—77—3)

---

პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის მიერ ნება დართულ იქმნა გასასყიდად პროვიზორის ალიოზი შიხინოვისაგან გამოგონილი ახალი მარგებელი სასმელი

**ყავა**

იყიდება ეს სასმელი: საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის საზოგადოებაში, აფიცერთა საეკონ. მაღაზიაში, ამიერ-კავ. რკინის გზის მხმარებელთა საზოგადოებაში, მაღაზიებში აკოფოვისა, გურგენოვისა და ავალოვისაში. განჯაში: სუკიასოვსა, ვერდიევსა და ნერსესოვთან. გორში— ბაზიეროვის აფთიაქში. გუმბრში— მიხაილოვსა და სეილანიანცთან, აგრეთვე რუსეთის საგუბერნიო ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში.

(3—84—2)

---

ქ. ქუთაისში

ახლად გაიხსნა

**ღვინის საწყობი**

ი. გოკიელოვის შვილებისა

ფ ა ს ე ბ ი:

| | | | | | ბოთლი | ფუთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უკურკლოთ | მ. კ. |
| № | 10 | ღვინო | სვირისა | 15 კ. | 2 | 30 |
| | 9 | „ | „ | 18 „ | 2 | 80 |
| | 8 | „ | „ | 20 „ | 3 | — |
| | 8 | „ | კახური | 20 „ | 3 | 20 |
| | 7 | „ | „ | 25 „ | 4 | — |
| | 6 | „ | „ | 30 „ | 4 | 80 |
| | 5 | „ | „ | 40 „ | 6 | — |
| | 4 | „ | „ | 50 „ | 7 | — |
| | 3 | „ | „ | 60 „ | 9 | — |
| | 2 | „ | „ | 80 „ | 12 | — |
| | 1 | „ | „ | 1 მან. | 15 | — |
| ყიფიანებისა | | „ | „ | 30 კ. | 5 | 40 |

(10—52—9)

---

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო საათფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში საამფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—12)